08.01.2026

01/26

შპს „თბილისი ენერჯი“-ს

თქვენი 2025 წლის 29 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.12.2025 წლის #7757235 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „სელფი მობაილ“-ის, როგორც მოიჯარის, წერილობით თანხმობას ქალაქ თბილისში, თრიალეთის ქუჩა #36ა-ში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.018.006) დემონტაჟის ნებართვის მისაღებად, გაცნობებთ, რომ შპს “სელფი მობაილ”-ი წინააღმდეგი არ არის და გიდასტურებთ აღნიშნული ნებართვის მიღებაზე თანხმობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ რა, რომ შპს „თბილისი ენერჯი“-ს დაგეგმილი აქვს ხსენებული შენობის დემონტაჟი, გთხოვთ გვაცნობოთ, რა პერიოდი იქნება გათვალისწინებული შენობის დემონტაჟის ნებართვის მიღებიდან შენობის სახურავზე განთავსებული შპს „სელფი მობაილ“-ის კუთვნილი კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის დემონტაჟისთვის. აღნიშნული დროის პერიოდი გვესაჭიროება მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ალტერნატიული ადგილის მოსაძიებლად და განთავსებისთვის.

პატივისცემით,

შპს „სელფი მობაილ“-ის

გენერალური დირექტორი

როსტომ ტალახაძე

შპს სელფი მობაილ/ LLC Cellfie mobile ს/კ 204450584
საფოსტო მისამართი: მექანიზაციის ქ. 1, სადარბაზო 1, 12ბ, თბილისი 0192, საქართველო / Postal address: 1, Mechanization str, block 1 12b., 0192 Tbilisi, Georgia
იურიდიული მისამართი: ბამბის რიგი 8, თბილისი 0105, საქართველო / 8, Bambis Rigi, 0105 Tbilisi, Georgia
www.cellfie.ge